

## Argumentaire en 10 points

### პლურილინგვიზმის ევროპული ობსერვატორია

უმაღლესი განათლებისა და კვლევის შესახებ კანონის მე-2 მუხლი

ათ პუნქტიანი განმარტებითი ბარათი

**1. უმაღლესი განათლებისა და კვლევის შესახებ კანონის მე-2 მუხლის მიზანს არ წარმოადგენს სწავლების მხოლოდ უცხო ენაზე (ინგლისური) წარმართვის ხელშეწყობა ან დაშვება.**

შეცდომაა ის,

რომ არსებული კანონმდებლობა საშუალებას იძლევა საფრანგეთის ტერიტორიაზე არსებულ უცხოურ სასწავლებლებში სწავლების პროცესი მხოლოდ ინგლისურ ენაზე წარიმართოს. კანონმდებლობით ასევე ნებადართულია ჩვეულებრივი სწავლების შემთხვევაში, ნაწილობრივ უცხო ენაზე წარიმართოს სწავლა იმ შემთხვევაში, თუ საქმე ეხება უცხო ენის სწავლების აუცილებლობას, საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში სწავლებას ან თუ მასწავლებელი უცხოელია.

სამინისტროს ასეთი კეთილგანწყობის შედეგად, საჯარო თუ კერძო უმაღლეს სკოლებში, სავაჭრო და საინჟინრო განხრით დაახლოებით 500-მდე სამაგისტრო კურსი მთლიანად ინგლისურ ენაზე ისწავლება. ზოგიერთ უნივერსიტეტში, შესაბამისი კურსი ფრანგულ ენაზე ისწავლება.

მე-2 მუხლის ფარულ მიზანს სწორედ ამ სამაგისტრო კურსებისათვის იურიდიული გარანტიების შექმნა და მათი განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენს, რაც აუცილებელია საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის არსებული კონკურენციის გათვალისწინებით.

დღესდღეობით, ნაწილობრივ უცხო ენაზე სწავლებას ტუბონის კანონის გამონაკლისი ითვალისწინებს (განათლების კოდექსის 123-3 მუხლი). ჟენევიე ფიორაზოს კანონპროექტის მეორე მუხლით გათვალისწინებული ის საკითხი რჩება ღიად, რომელიც ამ გამონაკლისის გავრცელებას საერთაშორისო შეთანხმებებისა და ევროპული პროგრამების ფარგლებში იმ შემთხვევაში ითვალისწინებს, სადაც სწავლება ინგლისურ ენაზე მიმდინარეობს, ვინაიდან კანონპროექტის მე-2 მუხლი არსებული ფორმით გულისხმობს, რომ საერთაშორისო შეთანხმების ან ევროპული პროგრამის ფარგლებში სწავლება მხოლოდ ინგლისურ ენაზე უნდა წარიმართოს.

შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საერთაშორისო სწავლება მხოლოდ ერთ ენაზე შეიძლება წარიმართოს და ფრანგულმა უნივერსიტეტმა, რომელიც ჩართული იქნება საერთაშორისო მოლაპარაკებებსა თუ ევროპულ პროგრამებში, უნდა მოითხოვოს მრავალენოვანი ან უკიდურეს შემთხვევაში ორენოვანი სწავლების უფლება და ამაში მას კანონი უნდა დაეხმაროს.

## **2. ეს არ არის მინისტრის განზრახვა და შესაბამისი დოკუმენტები ამ საკითხს ნათელს მოჰყენენ :**

არგუმენტი მიუღებელია ორი მიზეზის გამო :

ავტორის განზრახვა ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენს კანონის განხორციელებაზე : ამ შემთხვევაში მთავარია კანონი და თუ კანონი ითვალისწინებს საფრანგეთში უმაღლესი სწავლების პროცესს მხოლოდ უცხო ენაზე, ამ შემთხვევაში ამგვარ სასწავლო კურსებს კანონი დაიცავს.

ასეთი მნიშვნელოვანი და დიდი სიმბოლური დატვირთვის მქონე დეტალები დამატებით ტექსტებში არ უნდა იქნას გადატანილი. ეს საკითხები კანონში ექსპლიციტურად უნდა იყოს მოცემული და პარლამენტის მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

## **3. მე-2 მუხლის მიზანი ფრანგული უნივერსიტეტებისადმი ინტერესის გაზრდაა.**

ეს მცდარი არგუმენტია, რომლის მიზანი პარლამენტის შეცდომაში შეყვანაა.

ინგლისურენოვანი სტუდენტები საფრანგეთში იმიტომ არ ჩამოდიან, რომ ინგლისურ ენაზე ლექციები ფრანკოფონმა მასწავლებლებმა ჩაუტარონ, რომელთა ინგლისურის დონე ხშირად საშუალოზე დაბალია. ინგლისურენოვანი სტუდენტებს ასეთი ლექციები სიცილს გვრის.

მსგავსი განცდა აქვთ ასევე არაინგლისურენოვან სტუდენტებსაც, რომლებმაც ფრანგული ენა საფრანგეთში სწავლის გასაგრძელებლად შეისწავლეს. ეს სტუდენტები საფრანგეთში იმისთვის ჩამოვიდნენ, რომ ისწავლონ ფრანგულად, ისევე როგორც იტალიაში იტალიურად, ხოლო გერმანიაში კი-გერმანულად.

ინგლისურ ენაზე ლექციების ჩატარებით, მთელი მსოფლიოდან ჩამოსული სტუდენტების თვალში, საფრანგეთის იმიჯის დაკნინება მოხდება. ინგლისური სწავლების დანერგვა იქნება უფრო ხელისშემშლელი და არა წამახალისებელი ფაქტორი.

ვისთვისაა განკუთვნილი ინგლისურ ენაზე ჩატარებული სამაგისტრო ლექციები. ეს ლექციები განკუთვნილია არაინგლისურენოვანი სტუდენტებისათვის, რომლებიც მეტნაკლებად საუბრობენ ინგლისურად და არასათანადოდ ან საერთოდ ვერ ფლობენ ფრანგულ ენას.

ეს არგუმენტი საკმაოდ უცნაურია, ვინაიდან იმისათვის, რომ ჩავირიცხოთ უნივერსიტეტებსა თუ ისეთ პრესტიჟულ სასწავლო დაწესებულებებში, როგორებიცაა ვაჭრობის უმაღლესი სკოლა(HEC) ან პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტი (Sciences PO), ფრანგული ენის მაღალ დონეზე ფლობა აუცილებელი წინაპირობაა (იხ. ვაჭრობის უმაღლესი სკოლის დირექტორის პარლამენტისადმი გაგზავნილი მოხსენება, ფრანგული ენის გამოყენებასთან დაკავშირებით 2011წ).

სინამდვილეში, ფრანგული ენის დონის შემოწმება არც ისე მკაცრად ხორციელდება, როგორც ფიქრობენ. ეს ტესტები, რომელთა შესრულება ხშირად ინტერნეტის საშუალებით ხდება, ნაკლებად სანდოა და იმის გარანტიასაც კი არ იძლევა, რომ მოცემული ტესტი ნამდვილად ჩასარიცხმა კანდიდატმა შეასრულა.

სწორედ ამგვარად ვხვდებით ე.წ ბილინგვ სტუდენტებს, რომლებმაც ერთი სიტყვაც კი არ იციან ფრანგულად. შესაბამისად, სტიპენდიების გადანაწილების დროს, უკანონო გზით ჩაწერილი სტუდენტების ანგლოფონ და არაანგლოფონ სტუდენტებთან თანაბარ პირობებში ჩაყენება, რომლებიც ფრანგულად საუბრობენ, რომლებსაც ემატება ფრანკოფონი სტუდენტები, ასეთი ქმედება პირველი კატეგორიის სტუდენტებისათვის სკანდალურია, ხოლო ფრანკოფონი სტუდენტებისათვის შეურაცხმყოფელი.

თუკი დავუშვებთ იმ აზრს, რომ ეს ახალგაზრდები მართლაც კარგი სტუდენტები არიან და იმსახურებენ საფრანგეთის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლას, მათი მიღების საუკეთესო საშუალება მათთვის ფრანგული ენის ინტენსიური კურსების უზრუნველყოფა იქნება, რათა მათ ფრანგულ ენაზე ჩატარებულ ლექციებზე დასწრება შეძლონ. რიგ შემთხვევაში, მათ შესაძლოა სწავლა ინგლისურ ენაზე დაიწყონ, მაგრამ დაუშვებელია, რომ სრული კურსი მხოლოდ ინგლისურ ენაზე წარიმართოს.

არსებული კანონმდებლობის ფარგლებში ეს სრულად შესაძლებელია.

სწავლების მხოლოდ ინგლისურ ენაზე წარმართვით, ჩვენ დავაფრთხობთ ინგლისურენოვან და ფრანგულენოვან სტუდენტებს, ან იმ სტუდენტებს, რომლებმაც ფრანგული ენა შეისწავლეს იმიტომ, რომ დაკმაყოფილდნენ ფრანგული კულტურის დიდებით. ეს კი ნიშნავს ამკარად, ჩვენი ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ ქმედებას.

იმის გათვალისწინებით, თუ რა სიგნალს გავუგზავნით მსოფლიოს ამ კანონის მიღებით, გადაუჭარბებლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მას ექნება ფრანგული ენის მომავლისათვის

გამანადგურებელი შედეგი, იმის გათვალისწინებით, რომელმაც შეიძლება როგორც ფრანგული ენის სწავლებისა და სამეცნიერო საქმიანობის, ასევე ფრანგული ენის გამოყენებისა და მისი ქვეყნის ფარგლებს გარეთ ბრწყინვალეების კუთხით იჩინოს თავი.

#### **4. ინგლისურენოვანი სწავლების დანერგვა ხელს შეუწყობს უმაღლესი განათლების დონის ზრდას.**

ლექციის უცხო ენაზე ჩატარება ფრანკოფონი ლექტორის ლექციის ხარისხს ვერ გააუმჯობესებს, პირიქით დააკნინებს იმ ინფორმაციის ხარისხს, რომლის გადაცემაც მას სურს. იმისათვის, რომ ეს ასე არ მოხდეს, როგორც ლექტორი, ასევე სტუდენტები სრულყოფილად უნდა ფლობდნენ ინგლისურ ენას, რაც როგორც წესი იშვიათია. ამ შემთხვევაში ჩნდება იმის საფრთხე, რომ არც თუ მაღალი ცოდნის დონის მქონე სტუდენტებს დაბალი ხარისხის ლექციებს კარგი ან ცუდი პედაგოგები ჩაუტარებენ.

უმაღლესი განათლებისა და კვლევის შესახებ კანონის მე-2 მუხლი იმპლიციტურად სწორედ სიტუაციაზე მორგებასა და ხარისხის გაუარესებას გულისხმობს.

იმისათვის, რომ ინტერესი გაუჩნდეთ უცხოელ სტუდენტებს, აუცილებელია, რომ მათთვის საფრანგეთში ჩამოსვლის ხელის შემშლელი ფაქტორები მინიმუმამდე დავიყვანოთ, უნივერსიტეტების კრიტერიუმების გათვალისწინების გარეშე. ამასთან, აუცილებელია გვექონდეს მაღალი დონის უმაღლესი სასწავლებლები, რაც როგორც წესი ისედაც მრავლადაა საფრანგეთში შანხაის კლასიფიკაციის გარეშეც. მაღალი დონის უმაღლესი სასწავლებლები ვითარდება და საერთაშორისო შეთანხმებების საშუალებით, მომავალშიც განვითარდება. ეს შეთანხმებები აუცილებელი არაა მხოლოდ ინგლისურად იყოს შედგენილი. განვითარებისათვის აუცილებელია ჩატარდეს საერთაშორისო დონის ტრენინგები, რაც სასწავლო პროცესის ნაწილობრივ უცხო ენაზე წარმართვას გულისხმობს.

#### **5) ინგლისურ ენაზე სწავლება კარგია ფრანგი სტუდენტებისათვის**

მხოლოდ იმ პირობით, რომ ლექციებს ფრანკოფონი მასწავლებლები არ ჩაატარებენ.

წარმოგიდგენიათ ანგლოფონები ფრანგული ენის კურსებზე ჩამოვიდნენ და მათ ლექციები ინგლისურენოვანმა მასწავლებლებმა ჩაუტარონ? თუმცა სასურველი არაა, სწავლება მხოლოდ ინგლისურ ენაზე წარიმართოს.

ყველაზე სასურველ გარემოდ ფრანგულ-გერმანული ან ფრანგულ-იტალიური უნივერსიტეტების მსგავსი საერთაშორისო ტიპის სწავლების ჩატარება მიგვაჩნია, მაგალითად, პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის ფრანგულ-გერმანული საუნივერსიტეტო ქალაქ ნანსიში.

ეს გახლავთ უმაღლესი განათლების პროცესში საერთაშორისო სექციებისა და მეორე ხარისხისათვის EMILE-ის კლასების გამოყენება.

## 6. უმაღლესი განათლების ინგლისურ ენაზე წარმართვა კარგია

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ნაშრომების გამოქვეყნება და სწავლება, გამოქვეყნება და ფიქრი.

ამ ორ ცნებას შორის არანაირი კავშირი არ არსებობს.

ფრანგულ ენაზე სწავლება და ფიქრი ხელს არ უშლის ნაშრომების ინგლისურ ენაზე გამოქვეყნებას.

თუმცა, აუცილებელია ნაშრომების ფრანგულ ენაზე გამოქვეყნება კვლევის ყველა სფეროში ისეთ ჟურნალებში, რომლებიც ინგლისურის გარდა სხვა ენებზეც აქვეყნებენ სტატიებს ან საერთაშორისო დონის სპეციალიზირებულ ფრანკოფონულ ჟურნალებში. ამა თუ იმ სფეროში პუბლიკაციების არარსებობა, ენის გადარიბების სერიოზულ საფრთხეს ქმნის, ვინაიდან ახალი კონცეპტების შექმნა და ინტეგრირება აღარ მოხდება. ენის გადარიბების შედეგად, ამა თუ იმ სფეროში მასალების გამოქვეყნება შეუძლებელი გახდება, შემდეგ ამ სფეროში სწავლება აღარ მოხდება, რაც საბოლოო ჯამში, ამ სფეროში აზროვნების უნარზე უარყოფით გავლენას მოახდენს.

სამეცნიერო ნაშრომების ფრანგულ ენაზე გამოქვეყნების თანდათანობით შემცირება, გარკვეულ ჩავარდნებს გამოიწვევს სამეცნიერო აზროვნების ისტორიაში, ასეთი ჩავარდნები კი დამლუპველია მეცნიერული შემოქმედებისათვის.

საბოლოო ჯამში, მოვლენების ასეთი სახით განვითარება უტოპიური სრულიადაც არ არის და ხელს კი არ შეუწყობს კვლევის განვითარებას, არამედ პირიქით, გაანადგურებს კრეატიულობას და დაანგრევს ჩვენი ქვეყნის ინტელექტუალურ დამოუკიდებლობას.

ბუნებრივია, აუცილებელია რეაგირება მოვახდინოთ ამ რეალურ საფრთხეზე და გავაერთიანოთ ჩვენი ძალისხმევა, რათა ფრანგი მკვლევარების კრეატიულობას ხელი შევუწყოთ ყველა სფეროში, იქნება ეს ჰუმანიტარული, საბუნებისმეტყველო თუ სოციალური მეცნიერებები.

შესაბამისად, როდესაც ფაქტობრივად იმის მოწოდება ხდება, რომ ინგლისურ ენაზე სწავლება ფრანკოფონების მიერ წარიმართოს, აღნიშნული კანონპროექტის მე-2-ე მუხლით მოვლენები ისე განვითარდება, რომელსაც აუცილებლად წინ უნდა აღვუდგეთ.

## **7. სწავლების მხოლოდ ინგლისურ ენაზე წარმართვა ზრდის საფრანგეთის პრესტიჟს**

იმაზე ფიქრი, რომ საფრანგეთი საკუთარი პრესტიჟის გაზრდას შეედეტოსა და დანიაში არსებული პრაქტიკის დანერგვით შეძლებს შემაშფოთებელია.

პირიქით, საპირისპირო ტენდენციის უნდა გვეშინოდეს.

საფრანგეთის პრესტიჟს ქმნის მისი უმაღლესი სასწავლებლების ხარისხი, რომელზეც მხოლოდ ე.წ. შანხაის უნივერსიტეტების აკადემიური რეიტინგით არ უნდა ვიმსჯელოთ.

საფრანგეთის პრესტიჟს ასევე ქმნის მისი კვლევის ხარისხი და ლიტერატურა.

საფრანგეთის პრესტიჟს ქმნის მისი პეიზაჟების სილამაზე, ცხოვრების სტილი და მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა.

საფრანგეთისა და ფრანგული ენის პრესტიჟსა და მიმზიდველობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ საფრანგეთი და მასთან ერთად მთელი ფრანკოფონია ღირებულებების მატარებელია და სამყაროს განსხვავებულად, დასავლეთში დომინირებული შეხედულებებით აღიქვამს.

საფრანგეთი უნდა დარჩეს თვითმყოფად სახელმწიფოდ. მსოფლიო და ფრანკოფონებისა და ფრანკოფილების უმრავლესობა საფრანგეთისაგან მისი თვითმყოფადობის დაკარგვას არ ელოდება, პირიქით. კრიზისი, რომელსაც დღეს დასავლური სამყარო განიცდის, მიდგომების მრავალფეროვნებას უწყობს ხელს. ჯერჯერობით, საფრანგეთი იმ ქვეყნების რიცხვს განეკუთვნება, რომელიც ამ მრავალფეროვნების დაცვას ახერხებს. არსებობს უსასრულო მრავალფეროვნება, არსებობს მხოლოდ ერთი შესაძლო სამყარო და საფრანგეთი იმ ქვეყნებს შორისაა, რომლებსაც შეუძლიათ ჯერ კიდევ ამის შეხსენება. საფრანგეთი სრულყოფილებისაკენ უნდა ისწრაფოდეს, ინგლისურ ენაზე სწავლება კი არ არის სწორი გზა.

## **8. ინგლისური ბიზნესისა და კვლევის ენაა, აუცილებელია რეალობას თვალი გავუსწოროთ**

ეს ის დევიზია, რომელსაც მედიის საშუალებით გვახვევენ თავს და რომელიც გამყარებულია იმ არგუმენტით, რომ რეალობას ნაწილობრივ ასახავს, თუმცა ის სრულად როდი ასახავს რეალობას.

ბიზნესის სფეროში, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი საწარმო განსაკუთრებით ნეოლიბერალიზმის ტრიუმფის პერიოდშია, საერთაშორისო ენის გამოცხადებას მიემხრო, რეალობა ის არის, რომ ბიზნესის ენა, უპირველეს ყოვლისა არის კლიენტებისა

და საწარმოში დასაქმებული მუშაკების ენა, რომელსაც საწარმოები იყენებენ იმ ქვეყნებთან, რომელთანაც აქვთ სავაჭრო ურთიერთობები და სადაც ეს საწარმოებია განლაგებული. საწარმოებს საკმაოდ ბევრი ენა სჭირდებათ და ეს საჭიროება, მხოლოდ ერთი ენით, თუნდაც ინგლისურით ვერ შემოიფარგლება.

რაც შეეხება კვლევას, მიუხედავად იმისა, რომ პუბლიკაციების უმრავლესობა ზუსტი მეცნიერებების სფეროში თითქმის ექსკლუზიურად ინგლისურ ენაზე ხორციელდება, სიტუაცია განსხვავებულია ჰუმანიტარულ და სოციალური მეცნიერებების შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ პუბლიკაციების უმრავლესობა ამ სფეროებშიც ძირითადად ინგლისურ ენაზე ქვეყნდება, მეცნიერულად წარმოუდგენელია კვლევა, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული ისტორიის, პოლიტიკის, ეკონომიკის, სოციალურ და კულტურულ მრავალფეროვნებასთან, მხოლოდ ერთ ენაზე წარიმართოს.

ყველა კვლევამ, რომელიც ჩატარდა საწარმოებისათვის, მათ შორის გაერთიანებულ სამეფოში, ცხადყო: მხოლოდ ინგლისური ენა საკმარისი არ არის, იგივე შეიძლება ითქვას კვლევაზე.

## **9. აღარ არსებობს „ფრანგული გამონაკლისები“**

ამის თქმა შეიძლებოდა მაშინ, როდესაც არსებობდა მხოლოდ ერთი იდეოლოგია, ნეოლიბერალური იდეოლოგია, რომელსაც ჰქონდა ციტირების უფლება. ის კრიზისი, რომელშიც დღეს ვიმყოფებით, ადასტურებს იმას, თუ რამდენად აუცილებელია, რომ არსებობდეს მიდგომების სიმრავლე, ლინგვისტური და კულტურული მრავალფეროვნება მსოფლიო სტაბილურობისა და პროგრესისათვის.

საფრანგეთი აღიზიანებს და ზიანს აყენებს ძლიერი ლობისტური ჯგუფების ინტერესებს, რომლებიც იმისათვის, რომ საკუთარი შეხედულებები მოგვახვიონ თავს, სწორედ ფრანგული უნივერსიტეტების მიმზიდველობაზე ამახვილებენ ყურადღებას. როგორც ვნახეთ, ეს არგუმენტი სხვა არაფერია, თუ არა აშკარა თვალთმაქცობა.

საფრანგეთი უნიკალურია. საბედნიეროდ, საფრანგეთი არაა ერთადერთი ქვეყანა. იმის გამო, რომ საფრანგეთი თავისებურია, ამიტომაც არის მსოფლიოში აღირებული. სწორედ ეს არის საფრანგეთის გამონაკლისი: მას უფლება თქვას ის, რისი თქმაც სურს და როდესაც სურს.

## 10. ფრანგული ენის პოპულარობა მსოფლიოში ეცემა

მცდარია ეს აზრი.

პირიქით, ფრანგული ენა ერთ-ერთი ყველაზე დინამიკური ენაა მსოფლიოში, რომელსაც მომავალ ათწლეულებში განვითარების ყველაზე დიდი პოტენციალი აქვს, კერძოდ, აფრიკაში და მისი განვითარება თითქმის მთელს მსოფლიოში ხდება. ეს სრულიად ნორმალურია, ვინაიდან ენების ცოდნა აუცილებელია გლობალიზებულ და მულტიპოლარულ სამყაროში. ამიტომ არ უნდა მოხდეს ფრანგული ენის რეგრესი სტრატეგიულად უგუნური და კატასტროფული ეროვნული პოლიტიკის შედეგად, როგორც ამას კანონპროექტის მე-2-ე მუხლი ითვალისწინებს. ფრანგული ენის პროგრესი განათლების სფეროში მხოლოდ ევროპაში არ შეინიშნება და პირიქით, რეგრესს განიცდის ევროპულ ინსტიტუტებში, იმ პოლიტიკის გამო, რომელზეც უკვე ვისაუბრეთ.

დასკვნა: დღეს ჩვენ მძაფრი კონკურენციის საერთაშორისო კონტექსტში ვიმყოფებით, სადაც ლინგვისტური გამოწვევები მნიშვნელოვანია, ვინაიდან ენები ძალაუფლების ინსტრუმენტია. არსებულ დომინანტურ ლინგვისტურ სივრცეში გათქვეფით, ჩვენი შანსები საერთაშორისო კონკურენციის პირობებში, მნიშვნელოვნად კლებულობს. ფრანგებმა მეტი უნდა იმუშავონ უცხო ენების და არა მარტო ინგლისური ენის გაუმჯობესების კუთხით. ეს სასიცოცხლო მოთხოვნაა, თუმცა ფრანგებმა ასევე უნდა დაიცვან და ხელი შეუწყონ მშობლიურ ენას, რაშიც მათ ფრანკოფონია, მსოფლიოში ფრანგული ენის ძლიერების წყარო ეხმარებათ. სწორედ ამიტომ, გთავაზობთ პლურილინგვიზმის ევროპული ობსერვატორიისა და მისი მხარდამჭერი ასოციაციების მიერ წარმოდგენილ კანონში შესატანი ცვლილების პროექტს.